ხაშურის მოამბე

№12 (483) 7 აპრილი, ორშაბათი, 2025 წელი

დღეს ხარებაა, გილოცავთ!

ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა.

ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს, რომელსაც წმიდა ეკლესია 25 მარტს (ახ. სტილით 7 აპრილს) აღნიშნავს, ხარება ეწოდება. ამ დღეს ყოვლადწმიდა მარიამთან ერთად მთელ კაცობრიობას ეუწყა, რომ სახიერმა ღმერთმა ადამიანი სიკვდილისა და ცოდვის სამუდამო ტყვეობისათვის ვერ გაიმეტა და ეშმაკის მონობისაგან მისი გამოხსნა გადაწყვიტა. ეს დღე არის დასაბამი „ჩვენი ცხონებისა და გამოჩინება საუკუნოითგან დამალულისა საიდუმლოისა“.

უფალმა იესო ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა, რომელსაც შობდა ქალწული და

უწოდებდა სახელად ემანუელს, რომელიც ითარგმანება როგორც „ჩვენთარ არს ღმერთი“. ჭეშმარიტად, ღვთის განკაცებით ჩვენთან არს ღმერთი.

და აი, მიავლინა უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე.

წარუდგა ანგელოზი ქალწულს და უთხრა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი შეაძრწუნა მისმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „ვითარ-მე არს მოკითხვაჲ ესე?“ - რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო? ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა, ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშვა ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“.

მარიამის ძეს ღმერთი დავითი საყდარს ანუ ისრაელის სამეფო ტახტისა და იაკობის სახლზე - ისრაელის თორმეტ ტომზე - საუკუნო (მარადიულ) სუფევას აღუთქვამს. მარადიული მხოლოდ ღმერთია, ხოლო „იაკობის სახლი“ უფლის მხილველი, მორწმუნე ერია, რომელიც სულით უფალთანაა შეერთებული.

ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია ქალწულისაგან უმამაკაცოდ შობა. ღვთისმშობელი, რადგან ქალწულების აღთქმა ჰქონდა დადებული, იკითხავს: „ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ ანგელოზი მიუგებს: „სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ“, - და ნიშანსაც აძლევს: მისი ნათესავი, მოხუცი ელისაბედი, უკვე მეექვსე თვეა, რაც მიდგომილია.

მარიამმა, როცა ყოველივე გამოწვლილვით გაიგო, დამორჩილდა, მიენდო უფალს და ღვთის ნებას თავისი ნება შეუერთა: „აჰა მხევალი უფლისაჲ, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“. და მეყსეულად შევიდა სულიწმიდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში.

რითი დაიმსახურა ქალწულმა მარიამმა ესოდენი მადლი ღვთისა, რომ ადამის მთელი მოდგმიდან სწორედ ის აირჩიეს ღვთის განხორციელების მსახურად? იმით, რომ იგი ყოველი სათნოებით იყო შემკული, რამდენადაც ეს ადამიანის ბუნებისთვისაა შესაძლებელი, და იყო ჭეშმარიტი ტაძარი ღვთისა. განსაკუთრებით აღნიშნავენ მის სიმდაბლესა და სიმშვიდეს - სწორედ ამ სათნოებათა გამო გამოირჩია იგი უფალმა.

ქალწულ ღვთისმშობელზე ასეთი გადმოცემა არსებობს: როდესაც იგი ესაია წინასწარმეტყველის წიგნს კითხულობდა, იქ, სადაც წერია: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“, - თურმე შეყოვნდა, გაიფიქრა, რა ნეტარი იქნება ის ქალწული, რომელზეც ეს ითქვაო და ღმერთს შეევედრა, მისი ხილვის ღირსი გამხდარიყო, რათა მხევალივით მომსახურებოდა მას.

სწორედ ამ სიმდაბლის გამო იყო, რომ მთავარანგელოზმა ესოდენ სულგრძელად დაუთმო ქალწულ მარიამს, რომელმაც ზეციურ მახარებელს ნათქვამის დამტკიცება და ახსნა მოსთხოვა. არცთუ დიდი ხნის წინ გაბრიელი მღვდელ ზაქარიას გამოეცხადა და შვილის შეძენა ახარა, მაგრამ მღვდელმა არ დაუჯერა, რადგან ისიც და მისი ცოლიც ღრმად მოხუცებულნი იყვნენ. მთავარანგელოზი განურისხდა მას და დაადუმა, ვიდრე წინასწარმეტყველება ახდებოდა. ყოვლადწმიდა ქალწულს კი არამცთუ არ უსაყვედურა, არამედ დიდი კრძალვითა და მოთმინებით დააჯერა იგი და არ განეშორა, სანამ მორჩილებითა და სასოებით აღსავსე სიტყვები არ გაიგონა მისგან. მიზეზი ის გახლდათ, რომ ზაქარიამ თავისი ეჭვით ღრმად დაფარული ურწმუნოება გამოხატა, ყოვლადწმინდა მარიამმა კი - მორჩილება და სიმდაბლე.

ღმერთს არ სურდა, იძულებითა და შიშით აღგვასრულებინოს რომელიმე საქმე ან, პირიქით, დაგვიშალოს რაიმეს კეთება. იგი გულმოწყალეა, სამართლიანი, წმინდა და სურს, ჩვენც ასეთივენი ვიყონ, მაგრამ კი არ გვაიძულებს სიკეთეს, არამედ შეგონებით, დარიგებით, სწავლით, სიყვარულით მივყავართ მისკენ. მას სურს, რომ ჩვენი ნებით აღვასრულებდეთ ყოველ კეთილ საქმეს.

რა იარაღითაც იღვაწა ეშმაკმა ჩვენი დაცემისათვის, იმავე იარაღით გვიხსნა ქრისტემ; თუ ევას საქციელმა ადამის მოდგმას ცრემლი მრავალგზის დაადინა, ქალწულმა მარიამმა უდიდესი სიხარული მოუტანა. ღვთისმშობლის ერთ-ერთი ეპითეტია „განმანათლებელი“, ნიშნად იმისა, რომ სიბნელეში მყოფ კაცობრიობას მის მიერ გამოუბრწყინდა მზე სიმართლისა და მორწმუნეთა გონება განანათლა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

3 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩასა და მიმდებარე შესახვევებს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რევაზ თაბუკაშვილის სახელი;

ამავე დასახლებაში მდებარე ამაღლების ქუჩის ერთ მონაკვეთს ამაღლების I შესახვევის სახელი მიენიჭა;

აგერთვე, დაბა სურამში, ბუღაურის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩასა და მის განშტოებებს მიენიჭა „ბერი გაბრიელ სალოსის“ სახელი;

დღევანდელ სხდომაზე მოისმინეს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ასევე, მოისმინეს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის 12 თვის შესრულების შესახებ, რომელიც წარმოადგინა მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ლევან ხარაბაძის ხელმძღვანელობით, ქარელში საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. შეხვედრას მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

სხდომაზე 2025 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობა, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები, ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ დაფინანსებული სამუშაოები და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობა განიხილეს. როგორც მუნიციპალიტეტების მერებმა აღნიშნეს, ინფრასტრუქტურული სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. გარდა ამისა, საბჭოს წევრებმა შიდა ქართლის რეგიონში განსახორციელებელი ახალი პროექტებიც მოიწონეს.

შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭო 3 თვეში ერთხელ იკრიბება.

ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტი დაიწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის, თენგიზ ჩიტიაშვილის ინიციირებით სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი და სამოქალაქო ბიუჯეტირების სამუშო ჯგუფის წევრები.

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა დამსწრეებს გააცნო მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცედურები.

განისაზღვრა ხუთი ლოკაცია, სადაც მიმდინარე წელს სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტები განხორციელდება. ესენია ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლები დამჩხეულა და რბონა, ოსიაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლები ღუდა და ნარუჯევი და წრომის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი სოფელი ყელეთი.

ადგილობრივ ბიუჯეტში პროექტისთვის 400 000 ლარია გამოყოფილი, საიდანაც სოფელ რბონისთვის, დამჩხეულასა და ყელეთისთვის თითოეულზე 100 000 ლარი დაიხარჯება, ხოლო ღუდასა და ნარუჯევისთვის გამოყოფილი თანხა თითოეული სოფლისთვის 50 000 ლარს შეადგენს

სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტის მიმდინარეობა, ასევე მასში ჩართულობის პირობები სისტემატურად გაშუქდება და მოქალაქეები ინფორმაციას ამომწურავად მიიღებენ პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

დაბა სურამში, ცენტრალურ სკვერში არსებული კინოთეატრის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს

„ სურამში, კინოთეატრი, დიდი ხანია არ ფუნქციონირებდა. განსაკუთრებული ძალისხმევა მივმართეთ კინოთეატრის შენობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოსაცემად. ამჯერად, კინოთეატრის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, შენობა სამუსიკო სკოლას და სურამის ბიბლიოთეკას გააერთიანებს. აქვე გადავა სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ოფისიც. განახლებული შენობა ჩვენი საყვარელი სურამის ცენტრს ახალ ხიბლსა და სიცოცხლეს შემატებს. მისი დიზაინის მომზადებაში უშუალოდ ვიყავი ჩართული და ვფიქრობთ, ძალიან ლამაზი გამოგვივა“- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, დაბა სურამში, ცენტრალურ სკვერში არსებული კინოთეატრის რეაბილიტაციის სამუშაოებს მთლიანად მუნიციპალიტეტი აფინანსებს და ღირებულება 1 941 000 ლარს შეადგენს.

ხაშურში, შინდარის დასახლებაში, სკვერის მოწყობა დასასრულს უახლოვდება

„სივრცე ძალიან ლამაზი გამოვიდა და ვფიქრობთ, ადგილობრივების საყვარელი ადგილი გახდება. დამონტაჟდა დასასვენებელი სკამები, ფანჩატურები, საბავშვო ატრაქციონები, განათებები. აშენდა მინი სტადიონი, დაირგო სხვადასხვა ტიპის ხე-მცენარე.“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა-თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის, გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სკვერის მოწყობის სამუშაოები, თანადაფინანსებით განხორციელდა და ღირებულებამ -389 646 ლარი შეადგინა.

- ეს ჩვენი ისტორიაა, ეს ჩვენი წარსულია -

თაგვეთის ბორანთან დაკავშირებული პირობის ხელწერილი

ხაშურის რაიონის სოფლებს საინტერესო გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. განსაკუთრებით, გასათვალისწინებელია თრიალეთის მთების კალთებზე შეფენილი მშვენიერი სოფლების(წრომი, ხცისი, მიწობი, კრისხევი, ხალები, რბონა, დამჩხეულა, თაგვეთი, ქაშვეთი და სხვ.) მტკვარსგაღმა არსებობა, რადგან მათთვის გამოღმა სამყაროსთან დასაკავშირებლად აუცილებელი იყო რაიმე სახის სამდინარო ტრანსპორტი, რადგან ის ხიდები, რომელიც მათ დღევანდელი მუნიციპალიტეტის ცენტრთან აკავშირებს, ძალიან გვიან, მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან აშენდა.

ისტორიული ტრადიცია მოგვითხრობს, რომ საუკუნეების განმავლობაში ხაშურის მტკვარსგაღმა სოფლები საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული და მნიშვნელოვანი კულტურის ცენტრები იყო. საინტერესოა, რომ აქ მდებარეობს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ისეთი ძეგლები, როგორიცაა წრომი და ხცისი. სრულიად ბუნებრივია, ამ ტაძრების მიმდებარედ არაერთი დასახლებული პუნქტის არსებობაც. მართალია, მტკვარს გაღმა თრიალეთის ქედს, ისტორიულად, საურმე გზაც გაუყვებოდა, მაგრამ გამოღმა მხარესთან კავშირი მაინც აუცილებელი იყო.

გადმოცემით, ძველად მტკვარზე ბორნით გადადიოდნენ.

სწორედ, ამიტომ, ვვარაუდობთ, რომ სამდინარო ტრანსპორტის ისეთი სახეობა, როგორიც ბორანი იყო, ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეც ძველი დროიდან მოძრაობდა. თუმცა, მანამდე, მოდით, განვიხილოთ, ზოგადად, როგორი სამდინარო ტრანსპორტი იყო ის. ბორანს იყენებდნენ მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად, ეს იყო მორებისაგან შეკრული ბრტყელძირა ფართო ტივი, რომელსაც მგზავრობის უსაფრთხოებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში, მოაჯირი ჰქონდა შემოვლებული. ის მოძრაობდა ბაგირის გასწვრივ, რომელიც მდინარის ორივე ნაპირზე იყო დამაგრებული. მებორნეები სწორი მოძრაობისთვის და მდინარის დინებასთან გასამკლავებლად ორთაყვირებს იშველიებდნენ. ბორნით გადაჰქონდათ ტვირთი, გადაჰყავდათ ადამიანები და ცხოველები. თბილისში არსებობდა რამდენიმე ბორანი, რომელიც ქალაქის ერთ ნაპირს მეორესთან აკავშირებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ,ძველ ტფილისში, ციციანოვის აღმართი და მუხრანის ქუჩა ერთმანეთს მდინარე მტკვრის ნაპირებს შორის გაბმულ ბაგირზე მოძრავი ბრტყელძირა ნავით უკავშირდებოდა, რომელსაც „მუხრანის ხიდის ბორანს“ უწოდებდნენ. “მუხრანის ხიდის ბორანი“ აუცილებელ და საკმაოდ მომგებიან სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა, რომლითაც ყოველდღიურად 2000-მდე ადამიანი სარგებლობდა მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე ტვირთის გადასაზიდად და საქონლის გადასაყვანად. ხშირად, წყალდიდობის დროს, ადიდებული მტკვარი ბორანს იტაცებდა, რასაც, ხანდახან, მსხვერპლიც მოჰყვებოდა და მიმოსვლაც წყდებოდა. ამიტომ, ბორნის მიმდებარედ, სამაშველო პუნქტიც არსებობდა. მუხრანის ხიდის ბორანი ყოველწლიურად დაახლოებით 6000 მანეთ შემოსავალს იძლეოდა, როგორც ჩანს, ბორანი საკმაოდ შემოსავლიანი რამ იყო.

ბორნის არსებობის აუცილებლობა იდგა ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეც, კერძოდ, მდინარე მტკვრის გაღმა და გამოღმა ნაპირების დასაკავშირებლად.

2024 წელს ბატონმა თამაზ ლაცაბიძემ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვეფხვაძეების უბნიდან შემოიტანა ძალიან საინტერესო დოკუმენტი, რომელიც გახლავთ პირობის ხელწერილი, დადებული 1927 წელს თაგვეთელ მებორნეებსა და ბორნის ამორჩეულ მეთვალყურე კომისიას შორის.

პირობის ხელწერილის მიხედვით, სოფ. თაგვეთში მცხოვრებ ახლადარჩეულ მებორნეებს ვანო ჩადუნელს, თედაოზ გელაშვილსა და ბორნის არჩეულ მეთვალყურე კომისიას(იასონ ტაპატაძე, სინო ჩადუნელი და გოჩა გოგალაძე) შორის დადებულია ხელწერილი, რომლის მიხედვითაც, მებორნეებმა ჩაიბარეს ბორანი თავისი გამართულობით(ორი ნაძვის ბოძი გაღმა-გამოღმა, ერთი ჯახრაკი თავისი ქუდ მოწყობილობით, ერთი ძველი ვედრა, ხუთი ცალი ტახტის ფიცარი ძველი, ორი ცალი დაგრეხილი თოკვებით, ერთი ბოყვი, სამი მსხვილი ჯაჭვი) მეთვალყურე კომისიისგან შემდეგი საგნებითურთ: ერთი ქოხი, ერთი პატარა შკაფი, მუხის ბოძი(დარსობილი), მუხის ჯირკი, ჯოჯგანა თოკით, ორი წისქვილის რუზე გადებული პლასტინა, ოთხი პლასტინა კოზლასთან, ორი კოზლა გაღმა და გამოღმა, რა ნივთებიც, წლისთავზე უკან უნდა ჩაებარებინათ კომისიისთვის.

წლის განმავლობაში, მებორნეებს ყურადღება უნდა მიექციათ ბორნისთვის, რომ მძიმე ტვირთისგან არ დამტვრეულიყო, ან წყალდიდობის დროს, ან უპატრონო ტივისგან ან უბრალო ხე-ტყისგან ან მიუხედაობით და ასეთ შემთხვევაში, მებორნეებს საკუთარი ხარჯით უნდა შეეკეთებინათ იგი, ხოლო თუ მსგავს შემთხვევაში ვერაფერს გახდებოდნენ, შეეტყობინებინათ, ბორნის მოწილადე გლეხების დახმარებით, მეთვალყურე კომისიისთვის და მათგან ყურადღების მიუქცევლობის შემთხვევაში, ყველაფერზე პასუხისმგებელი ხდებოდა კომისია და არა მებორნეები. თუ ბორანს რაიმე მასალა დაუძველდებოდა და დაულპებოდა და მისი შეცვლის აუცილებლობა იყო, კომისიის მიერ ყურადღების მიუქცევლობით გაჩერებული ბორნის გამო, მებორნეების ქირაც კომისიას უნდა აენაზღაურებინა იმასთან ერთად, რომ დამპალ-დაზიანებული ფიცრები ამოეცვალათ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომისია მებორნეებს უფასო საჭირო ხის მოწმობას მისცემდა, გაღმა-გამოღმა ახალ კოზლებს გააკეთედა; ხოლო რამდენიც უნდა დაჭირვებოდათ, თავად მებორნეებს უნდა გაეკეთებინათ მაღალი ნაძვის ბოძებით, ასევე, ახალი ჭახრაკი თავად მებორნეებს უნდა გაეკეთებინათ და წელიწადში ორჯერ უნდა გაეზეთათ. სხვა ასეთი წვრილმანი „პაჩინკაც“ თავად მებორნეების ვალდებულებაში შედიოდა. მათვე ევალებოდათ მთვრალი კაცისთვის ყურადღების მიქცევა, ასევე ნებისმიერი პიროვნებისთვის, რომ ის არ ყოფილიყო გაჩერებული ბორანზე გაუსვლელობის გამო.

რაც შეეხება ქირას, ერთ გარეშე პირზედ მებორნეებს ისე უნდა აეღოთ ქირა, როგორც კომისია გადაწყვეტდა. ხოლო წლიურად გარიგების შემთხვევაში, მებორნეებზე იყო დამოკიდებული, როგორ მოურიგდებოდნენ ამათუიმ კერძო პიროვნებას.

იმ შემთხვევაში, თუ ბორანში მოწილე რომელიმე ამხანაგს თავისი ოჯახის საჭიროებისათვის ან ექიმის გადაყვანა, ან მტკვრის ქვის რიყის გადატანა დასჭირდებოდა, მებორნეებს უფლება არ ქონდათ ქირის აღების. გასაყიდად მომზადებული ქვა-რიყის გადატანაში კი მეპატრონეს მებორნეებისთვის ქირა უნდა გადაეხადათ: ერთ ურემზე მანეთი. ეს მანეთიც ნაწილდებოდა: ხუთი შაური მებორნეებისა იყო, თხუთმეტი შაური კი ბორნის სასარგებლოდ უნდა ყოფილიყო გადახდილი.

მებორნეები ქირას იღებდნენ საფლავის ქვის გადატანის დროსაც: ხუთჩარექიან ქვაზე 10 შაურს, საიდანაც სამი შაური მებორნეებისა იყო, 7 შაური კი ბორნის სასარგებლოდ გადაინახებოდა. მათ ამ ქირის შესახებ ანგარიში უნდა წარედგინათ მეთვალყურე კომისიისთვის, თუ რამდენი ურემი გავიდა ბორანზე. თუ მებორნეები აღებულ ქირას გადამალავდნენ და ანგარიშს არ გაასწორებდნენ, ხელი უნდა აეღოთ ბორანზე, ჭირნახულიც ბორნის სასარგებლოდ უნდა ჩაეტოვებინათ და სამომავლოდ ბორანზეც აღარ უნდა დაშვებულიყვნენ.

თუ პირობის ხელწერილის ორივე მხარიდან ერთი ვერ შეასრულებდა პირობას, უნდა გადაეხადა ჯარიმა 100 მანეთი ბორნის სასარგებლოდ.

გთავაზობთ აღნიშნული პირობის ხელწერილის სრულ ტექსტს(სტილი დაცულია):

პირობა

1927 წელსა, ივნისის 2-სა დღესა, ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერელი, სოფელ თაგვეთში მცხოვრებელი ახალათ არჩეული მებორნეები, ვანო ტატოს ძე ჩადუნელი და თედაოზ მამუკას ძე გელაშვილი და ბორნის ამორჩეული მეთვალყურე კომისია სოფელ თაგვეთში მცხოვრებელი იასონ გარსევანის ზე ტაპატაძე და სინო სპირიდონის ძე ჩადუნელი და სოფ. ქაშვეთში მცხ. გოჩა გიგოს ძე გოგალაძე ვდებთ ამ პირობას ერთმანეთს შორის შემდეგზედ:

ჩვენ, ბორანზე მდგომი ამორჩეული მებორნეები ვიბარებთ ბორანს შემდეგი საგნებით თქვენ ამორჩეული მეთვალყურე კომისიის მიერ. ერთი სადგომი ქოხი, ერთი პატარა შკაფი, ერთი დასობილი დიდი მუხის ბოძვი, ერთი დიდი მუხის ჯირკი, ერთი ჯოჯგანა თავისი თოკვით, ორი პლასტინა წისქვილის რუზედ გადებული, კოზლასთან ოთხი ცალი პლასტინა, ორი კოზლა გაღმა და გამოღმა, ბორანი თავისი გამართულობით, ერთი კან.იის რომელზედაც მუშაობს ბორანი, ორი ბოძვი და ნაძვისა გაღმა-გამოღმაიო, ერთი ჯახრაკი თავისი ქუდმოწყობილობით, ერთი ძველი ვედრა, ხუთი ცალი ტახტის ფიცარი ძველი, ორი ცალი დაგრეხილი თოკვებით, ერთი ბლოკვი, სამი ჯაჭვი სხვილი, ეს ზემო აღნიშნული ქონება უნდა ჩაგბაროთ წლის თავზედა თქვენ ამორჩეულ მეთვალყურე კომისიას. შემდეგი დღიდგან თქვენ მიერ დავალებით უნდა სატიკი ყურადღება მივაქციოთ ბორნებს, რომ არ იქნეს მძიმე ტვირთ მზიდავლებისაგან დამტვრეული ან წყალდიდობის დროს. ისეთ შემთხვევის დროს, რომ უპატრონოთ ტივი მოქონდეს წყალს და ან სხვა რაიმე უბრალო ხეტყე და მით იქნეს დაზიანებული დამტვრეული ბორანი ჩვენს მიერ მიუხედაობით, იმ შემთხვევაში ვალდებული ვართ თვით ჩვენ მებორნეები ასეთ დროს დამტვრეული ბორნები გავაკეთოთ ჩვენი ხარჯით. ასეთი საჭირო შემთხვევის დროს თუ ვერაფერი ღონის ძიებას გავხდით, შევატყობინოთ საერთოდ ბორანში მოწილადე შემომავალი გლეხების დახმარების შესახებ თქვენ ამორჩეულ მეთვალყურე კომისიას და თუ ყურადღება არ მიაქციო, იმ შემთხვევაში იქნებით თვით კომისია პასუხის მგებელი და არა ჩვენ.ბორანს თუ რაიმე მასალა დაუძველდსა და დაულპა, თავითავად და საჭირო იქნა მისი გამოცვლა-შეკეთება, ვალდებული ვართ მებორნეენი გაცნობოთ თქვენ, მეთვალყურე კომისიას,რათა იქნეს ის შეკეთებული საერთო მოწილადე გლეხობითგან უკეთუ ყურადღებას არ მოგვაქცემთ, მით იქნა ბორანი გაჩერებული, იმ შემთხვევაშიდ უნდა გვინაზღაულოთ ჩვენი გაცდენის ქირა, ბორანს უნდა გამოუცვალოთ ამ პირველ შემთხვევაში როცა დაჭირდება ზეიდგან დაგებული დაზიანებული პიცარი, ის უნდა გამოუცვალოთ და დავაგოთ სხვა ახალი ფიცარი. იმ შემთხვევაში, თუ მოგვცემთ უფასო საჭირო ხის მოწმობას, გაღმა-გამოღმიდგან გავაკეთოთ ახალი კოზლები, ხიდი რამდენიც უნდა დაჭირდეს დიდწყლობის დროა, ის უნდა გავაკეთოდ თვით ჩვენ მებორნეებმა, გაღმა-გამოღმით უნდა გავაკეთოთ ახალი მაღალი ნაძვის ბოძვებით, უნდა გავაკეთოთ ახალი ჭახრაკი, კანათ უნდა იქნეს გაზეთილი წელიწადში ორჯერ, ესეიგი რაც არ უნდა დაჭირდეს, ასეთი წვრიმალი

ბორანი ხცისთან. 1958 წლის 30 აპრილი
წარწერა ფოტოზე: „ნადიას ქორწილის შემდეგ“

პაჩინკა ის უნდა გავაკეთოთ ჩვენ მებორნეებმა და უნდა ჩავტოვოთ წლისთავზედ ჩვენი გამოცვლის დროს ბორნის სასარგებლოთ და აგრეთვე უნდა მივაქციოთ ყურადღება თვრალ კაცს და ერთ მიმავალ პიროვნებას, რომ ის არ იქნეს გაჩერებული ბორანზე გაუსვლელობის გამო. გარეშე პირზედ ქირა უნდა ავიღოთ როგორც არის თქვენ კომისიის მიერ გადაწყვეტილი ერთ კაცზედ, როგორც სხვა მებორნეები იღებენ. აგრეთვე ვისაც წლიურათ სურს გაგვირიგდეს, ის ჩვენზედაა დამოკიდებული, როგორც მოურიგდებით. ამასთან ერთად, როგორც არის თქვენ კომისიის მიერ დადგენილი, თუ ბორანში მოწილადე რომელიმე ამხანაგს მიჭამს თავისი ოჯახის საჭიროებისთვის... ან ექიმი იმაზე არ გვაქვს თქვენს მიერ უფლება ავიღოთ ქირა. აგრეთვე თუ რომელიმე მოწილე ბორანშიდ ამხანაგს გაქვს ბორანზედ თავისი ოჯახის საჭიროებისათვის ტკვრის ქვა-რიყე, იმაზედ არ გვაქვს უფლებაავიღოთ ქირა. და თუ მას მიაქვს ქვა-რიყე გასაყიდათ, მაშინ უნდა ავიღოთ ქირა ურემზე მანეთი. ხუთი შაური უნდა ავიღოთ მანეთიდგან ჩვენ მებორნეებმა და თუთუთხმეტი შაური კი უნდა იქნეს ბორნის სასარგებლოთ შენახული. საფლავის ქვა-პომედნიკებზედ ის უნდა ავიღოთ ურემზედ რაც ქვა-რიყეს გამოტანაზედ გადაწყვეტილი ქირა მყიდველისგან, პატარა ხუთჩარექიან ქვაზე კი უნდა ავიღოთ ათი შაური. სამი შაური იქნება ჩვენს სასარგებლოთ ბორნის ქირაში აღებული და შვიდი შაური უნდა შევინახოთ ბორნის სასარგებლოთ. სამივეში ერთხელ უნდა მოგცეთ ანგარიში თქვენ არჩეულ ბორანის მეთვალყურე კომისიას თუ რამდონი ასეთი ქირის ურემი გევიდა ბორანზედ და ჩაგბაროთ სრული ანგარიში ფული. უკეთუ ჩვენ შეგავაჩნდა გადავმალეთ აღებული ქირა და არ გაგისწოროთ სრული ანგარიში იმ შემთხვევაშიდ ხელაღებული ვიყოთ მებორნეებზე, შემოსავალი ჭინახულიც ბორნის სასარგებლოთ ჩავტოვოთ თუ ასეთი რაიმე სიცუდე დაგვიმტკიცდა, ჩვენთაგან ოჯახის წევრს, რომელსაც არ შეუძლია ბორანზე დგომა და მისი მუშაობა, ისეთი წევრი არ იქნება დაშვებული ბორანზე

სამუმავლო(მებორნეთ).

ჩვენ ზემოხსენებული მებორნებმა და ბორნის მეთვალყურე კომისიამ თუ არ შევასრულეთ ერთმანეთს შორის ზემო აღნიშნული დადებული პირობა, იმ შემთხვევაში მეწინამდეგე პირმა უნდა გადაიხადოს ჯარიმა ასი მანეთი(100) ბორნის სასარგებლიო და პირობა დარჩეს ძალაში, რაზედაც ხელს ვაწერთ ჩვენ მებორნები და ბორნის მეთვალყურე კომისია.

მებორნეები: ვანო ჩადუნელი, თედო გელაშვილი, იოსონი ტაბატაძე, სინო ჩადუნელი, გოჩა გოგალაძე

რომ ეს ხელმოწერილია ამისათვის ვამოწმებთ ხელის მოწერით სოფ. თაგვეთის და სოფ. ქაშვეთის საბჭოს წევრები.

სოფ. თაგვეთის საბჭოს წევრები: ალექსი ტაპატაძე, შალიკო ჩადუნელი, ს. გრიგალაშვილი.

სოფ. ქაშვეთის საბჭოს წევრები: + გაურკვეველი ხელმოწერა.“

ზემოთაღნიშნული პირობის ხელწერილიდან ირკვევა, რომ ისეთი საინტერესო ურთიერთობა, როგორიც იყო მებორნეებისა და ბორნის მეთვალყურე კომისიას შორის ურთიერთობა, ერთგვარად, სამართლებრივად რეგულირდებოდა, რაც იმ ეპოქისთვის ძალიან საინტერესოდ ჩანს. მართალია, პირობის წერილი ნოტარიუსის მიერ არ არის დამოწმებული, მაგრამ დოკუმენტი მაინც ძალიან საგულისხმოა, რადგან მისით რეგულირდებოდა ბორნის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, ნაჩვენებია მებორნეებისა და მეთვალყურე კომისიის წევრების უფლება-მოვალეობები, რაშიც, ერთგვარად, ამ ადამიანთა მორალური სახეც გამოიკვეთება.

მტკვარგაღმა სოფლების მცხოვრებლებს არაერთი მოგონება აკავშირებთ ბორანთან, წყალდიდობასთან, მტკვარზე გადებული ხიდების აშენების აუცილებლობის იდეასთან და სხვა.

აი, რას იხსენებს ქალბატონი თამარ ჩადუნელი:

„მინდა მოგითხროთ ჩემი ულამაზესი სოფლის-თაგვეთის ცხოვრებიდან ერთი პატარა, მნიშვნელოვანი ეპიზოდის შესახებ. სოფელი მდებარეობს ქ. ხაშურიდან 5 კმ-ის მოშორებით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თრიალეთის მთის ძირში.

1967 წლის გაზაფხულის წვიმიანი დღეები იდგა, გამუდმებული წვიმების გამო თოვლი სწრაფად დნებოდა. სოფლის გზაზე იმდენი წყალი მოდიოდა, რომ რეზინის მაღალყელიანი ჩექმების გარეშე ვერავინ გამოდიოდა სახლიდან. მახსოვს, მამამ, ვახტანგ სოლომონის ძე ჩადუნელმა, შეწუხებულმა თქვა, რა არის, ერთი კვირაა კოკისპირულად წვიმს, ამ დალოცვილმა ზეცამ პირი გახსნა და მგონი დახურვას აღარ აპირებსო. თითქოს მამას საყვედური შეისმინა ზეცამ და მეორე დღეს მზემ საამურად გამოანათა, არემარე თავისი ჯადოსნური სხივებით გაათბო და სოფელმაც „გამოიღვიძა“. სახლებში შეყუჟული მეზობლები გარეთ გამოეფინენ და საგაზაფხულო სამუშაოებისთვის მზადებას მიჰყვეს ხელი.

მამაც გახარებული იყო, ერთ კვირიანი შესვენების შემდეგ სამსახურში წავიდა. მაშინ ქვიშხეთის მეურნეობაში მუშაობდა ბრიგადირად. სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება ქონდა მიღებული. ცოტა ხნის შემდეგ, მამა აღელვებული დაბრუნდა შინ. როგორც გავიგეთ დედასთან საუბარში, თურმე, მდინარე მტკვარი ძალიან ადიდებულა და ნაპირზე გადმოსულა. ხიდი კი მთლიანად დაუფარავს წყალს და მოძრაობა საერთოდ შეწყვეტილა. საფრთხე ემუქრებოდა



ხიდის ყოფნა-არყოფნასაც. თურმე, ადიდებულ მდინარეს ფესვებიანად მოგლეჯილი ვეებერთელა ხეები მოჰქონდა. შეშფოთებული მამა დედას ეუბნებოდა, რომ თუ ხეები ხიდს დაეჯახებოდა, ვეღარ გაუძლებდა და შესაძლებელი იყო მისი ჩამონგრევა.

მამამ შეკრიბა სოფელში მცხოვრები კაცები და რამდენიმე უღელი ხარი გუთნით წაიყვანა, რომ არხი გაეჭრათ ხიდთან ახლოს და წყლის დიდი ნაწილი სხვა კალაპოტში გაეშვათ. დედას უნდოდა თავისი თვალით ენახა სოფლის თავს დამტყდარი სტიქიური უბედურება, სახლში ვერ გვტოვებდა პატარებს და ჩემს ძმას და მე მოგვკიდა ხელი. წაგვიყვანა ზევით, დიდ მინდორზე, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანდა აბობოქრებული, კალაპოტმორღვეული მტკვარი. დავინახეთ, რომ ხიდს მხოლოდ რკინის თავები მოუჩანდა. ვუყურებდით როგორ ირხეოდა ხიდის ბურჯებზე დამაგრებული რკინის ვეებერთელა ბოძები, როცა წყალში მოტივტივე ხეები ეჯახებოდნენ. უცებ, მტკვრის უზარმაზარ ტალღებში არეული ხის მორები ერთბაშად დაეჯახა ხიდს. ხიდი შეტორტმანდა, რკინის ვეებერთელა თავები ნელნელა ჩაიკეცა და საშინელი გამაყრუებელი ხმაურით შთაინთქა აზვირთებული მტკვრის ტალღებში. შეშინებულმა დედას შევხედე. ტიროდა. მისი შემხედვარე ჩვენც ავტირდით. იმ წუთიდან სოფლის მოსახლეობა, ფაქტობრივად, რაიონს მოწყვეტილი დარჩა. ასეთივე ბედი ეწია სოფლების: ახალდაბის, სათივის, რბონის ხიდებსაც. სასწაულად გადარჩა მხოლოდ სოფელ რვამარტის ხიდი. მოსახლეობას შეეძლო მხოლოდ შემოვლითი გზით ესარგებლა სოფ. ხცისის ხიდის გავლით, რომელიც დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა(ფეხით უნდა ევლოთ, იმ დროს ტრანსპორტი ნაკლებად იყო). გაუჭირდა სოფლის მოსახლეობას ამ რეჟიმით ცხოვრება თვეების მანძილზე და გადაწყვიტეს, ვიდრე ახალი ხიდი აშენდებოდა, მტკვარზე დროებით ბორანი აეგოთ. მოზიდეს მორები, დახერხეს და რამდენიმე კვირაში მტკვარზე, ერთმანეთზე მიწყობილი მრგვალი მორებით კარგად შეკრული, ულამაზესი ბორანი ტივტივებდა. ის გორგოლაჭებით მოძრაობდა მტკვრის ორივე მხარეს ბოლოებით ჩამაგრებული მსხვილი ფოლადის ბაგირზე. მტკვრის ორივე ნაპირზე ააგეს პატარა ქოხები მებორნეებისთვის თავის შესაფარებლად და ღამის გასათევად. მებორნეებად დასვეს სოფელში მცხოვრები ორი პიროვნება - შალვა ტაბატაძე და ნიკალა ბლიაძე. ეს საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო და მათ ხანდახან ახალგაზრდა მოხალისეებიც ეხმარებოდნენ. ისინი დღეგამოშვებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და ემსახურებოდნენ სოფლის მოსახლეობას, თუ სტუმრად მობრძანებულთ.

მახსოვს, როცა დედას ხაშურში მოუწევდა ხოლმე წამოსვლა, როგორ ვეხვეწებოდი, რომ მეც წავეყვანე. ერთი სული მქონდა როდის დავჯდებოდი ბორანზე, ლამაზად ჩარიგებული ხისგან გაკეთებულ სკამებზე და „გავცურავდი“. გაოცებული ვუყურებდი, როგორ თავისუფლად მისრიალებდა მტკვრის ტალღებზე, რათქმაუნდა, მებორნის მარჯვედ მოქნეული ნიჩბის დახმარებით საოცარი ბორანი.

იმ წელს საკმაოდ დიდი და მკაცრი ზამთარი დადგა. ისეთი ყინვები დაიჭირა, რომ მტკვარი გაიყინა. ბორანიც წყალში ჩაიყინა და მისით სარგებლობა ვეღარ ხერხდებოდა. სოფლის მოსახლეობას ხიდის მაგივრობას გაყინული მტკვარი უწევდა. თავიდან შიშით მიდი-მოდიოდნენ, მერე კი ბავშვებმა მასზე ციგით სრიალიც კი დავიწყეთ. ერთხელ ასეთი ამბავიც მოხდა: ჩვენი სოფლის რვაწლიან სკოლაში ადგილობრივი პედაგოგები ცოტანი იყვნენ, ნაწილი ხაშურიდან იყვნენ მოწვეულები. წარმოიდგინეთ, რომ ზაფხულში, ზამთარში, მზიან, ქარიან ამინდში ფეხით, სრული შემადგენლობით ცხადდებოდნენ ხოლმე სკოლაში. თითქმის არ მახსოვს, რომელიმე მასწავლებელს გაეცდინოს. სიცხიანებიც ხშირად მოსულან და გაკვეთილები არ ჩაუშლიათ(ხსოვნა მათ სულებს). ერთი ჩვეულებრივი ყინვიანი და ქარბუქიანი დღე იდგა, გაკვეთილები დასრულდა და ჩვენი მასწავლებლებიც შინისაკენ წაბრძანდნენ. მეორე დღეს, რუსულის მასწავლებელი, ქალბატონი მარიამ კოპაძე გამოცხადდა სკოლაში. გაგვიკვირდა, თურმე, აქედან წასულები, რომ შედგნენ გაყინულ მტკვარზე, წინ მარო მასწავლებელი მიდიოდა, უკან ქვიშხეთელი - გეოგრაფიისა და გერმანული ენის მასწავლებელი, ბატონი გრიგოლ ღონღაძე მიყვებოდა. უცებ, მარო მასწავლებელს ყინული ჩაუტყდა და წყალში ჩავარდა, მხოლოდ თავი ჩანდაო, ყვებოდა მერე გრიგოლ მასწავლებელი, დიდი წვალებით როგორღაც ამოუყვანია და მტკვრის მეორე ნაპირთან ახლოს აშენებულ ქვიშხეთის მეურნეობის მეფრინველეობის ფერმების შენობაში შეუყვანია და მომუშავე პერსონალს დახმარება აღმოუჩენია. მას შემდეგ ერთი კვირა ფილტვების ანთებით იწვა სახლში. იმ პერიოდში კიდევ ერთი საუკეთესო პიროვნება მოხვდა ყინულების ქვეშ, წყალში, ეს იყო სოფლის ექიმი, დამსახურებული მედმუშაკი, უაღრესად განათლებული და ღირსეული ადამიანი, ბატონი ვანო პატარქალაშვილი, ისიც სასწაულად გადაურჩა გაყინულ წყალში დახრჩობას.

აი, ასეთი იყო ბავშვური თვალით დანახული და გონებას შემორჩენილი ჩემი უსაყვარლესი სოფლის ცხოვრებიდან ერთი პატარა ეპიზოდი“.

იმავე, 1967 წლის ამბებს იხსენებს მერაბ გოგალაძე(სოფ. ქაშვეთი). „ამ წელს დამანგრეველი წყალდიდობა იყო საქართველოში. მდინარე მტკვარი ასეთი ბევრს არავის ენახა. ამ დროს ყველაზე მეტად დაზარალდა ბორჯომის და ხაშურის რაიონები, აღარ დარჩა ხიდები მტკვარზე, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა. ამ დროს წაიღო ხაშურსა და სოფ. თაგვეთს შორის დამაკავშირებელი ხიდიც. მტკვარს გაღმა მდებარე სოფლები: თაგვეთი, ქაშვეთი, კოდიწყარო, ჯვართმუხა და ღუდა მთლიანად მოწყდა რაიონულ ცენტრს. სასწრაფოდ დაამზადებინეს წყალზე გადასასვლელად ნავი(ბორანი). თაგვეთში გასასვლელად მოძრაობდა ნავი 10-12 კაცის ტევადობით. ნავს მორიგეობით მართავდნენ მენავეები. მახსოვს ერთი ისტორია, რომელიც გადახდა თაგვეთის რვაწლიანი სკოლის პედაგოგებს, სამედიცინო პუნქტის ექიმს, ექთანს. იმ დროს დედაჩემი, ბაბულია ციცქიშვილი, მუშაობდა სკოლის მასწავლებლად სოფ. თაგვეთში. მას და მის კოლეგებს თავს გადახდათ უცნაური ისტორია ნავთან დაკავშირებით: ერთ დღეს დედა წავიდა სკოლაში, როგორც თვითონ იხსენებდა, ნავის მოლოდინში შეიკრიბნენ მასწავლებლები(4-5), მათ შორის ღონღაძე(ისტორიის მასწავლებელი), ექიმი(ბაჟანოვი), ექთანი(ტაბატაძე) და კიდევ რამდენიმე მოსახლე. იმ დღეს მენავე იყო ომარ გელაშვილი. ეს ახალგაზრდა იყო დედას ნამოწაფარი, რომელმაც ვერ ისწავლა ქართულად წერა-კითხვა და აღმოჩნდა, რომ ემდუროდა სკოლას. ჩასხდნენ ნავში მგზავრები და მენავემ შეაცურა ნავი შუა წყალში. აღსანიშნავია, რომ ამ დროს მტკვარი საკმაოდ ადიდებული იყო. შუა წყალში მენავემ გადააგდო წყალში ჭოკი(დიდი ჯოხი), რითაც მართავდა ნავს და თვითონაც გადახტა წყალში(საკმაოდ კარგად ცურავდა). ასე მიატოვა მგზავრები უმწეოდ, რომლებმაც შეშინებულებმა ატეხეს ყვირილი, ითხოვდნენ დახმარებას, ამასობაში კი ნავი დინებამ წაიღო. ე. წ. ბლიაძეების დასახლებასთან გაიგონეს განწირული ყვირილი და სასწრაფოდ შეცურდნენ ხალხის გადასარჩენად. მათ შორის, მახსოვს, დედა ახსენებდა ნიკალა ბლიაძეს, რომელმაც შეძლო ნავის სამშვიდობოს გამოყვანა. ამ შემთხვევის შემდეგ, რა თქმა უნდა, მაშინვე გაუშვეს სამუშაოდან ომარ გელაშვილი. ამ შემთხვევის შემდეგ გაირკვა, რომ მენავე ემდუროდა მასწავლებლებს.“

კიდევ ერთი მონათხრობი თაგვათის ბორანთან დაკავშირებით:

ეს ამბავი, რომელსაც ვიხსენებ, მახსოვს 1965-67 წ.წ. მოხდა. სოფ. თაგვეთში და მიმდებარე სოფლებში მისვლა შეიძლებოდა ერთადერთი ბორნით მტკვრის გადალახვის შემდეგ. მაშინ ვიყავი 12-13 წლის, ძალიან მაინტერესებდა, თუ რას წარმოადგენდა ბორანი. ამ წლებში ბიძაჩემი ოთარ ციცქიშვილი მუშაობდა სახერხ საამქროში სოფ. ცხრამუხაში. ის იხსენებდა, როგორ დაავალეს ბორნის აგება. მისი ნაამბობიდან ჩანს, რომ ბორანი ეს იყო ორი მოზრდილი ნავი, ერთმანეთთან ხის ძელებით დაკავშირებული. ამ ძელებზე დაგებული იყო იატაკი, გარშემო მოწყობილი იყო ხის მყარი სკამები მგზავრებისათვის. მახსენდება, ამ წლებში, ზაფხულის პერიოდში, სოფ. თაგვეთში(არ მახსოვს ვისი), დაკრძალვაზე, ძალიან ბევრი ხალხი შეგროვდა. შუადღისას ეს ხალხი მოაწყდა ბორანს, რომ გადმოსულიყვნენ მარცხენა ნაპირზე(ხაშურის მიმართულებით). მებორნემ(არ მახსოვს ვინ იყო) ვერ შეძლო ხალხის დარწმუნება, რომ ბევრნი არ ასულიყვნენ ბორანზე და რომ, ამ შემთხვევაში, შეიძლება ჩაძირულიყო. ამ დროს ბორანზე ორი მსუბუქი ავტომობილი უკვე იდგა. მებორნე ცდილობდა, რომ ჯერ ეს ავტომობილები გაეყვანა მეორე ნაპირზე, შემდეგ ხალხი. არ მოისმინეს მებორნის თხოვნა და ბორანზე ბევრი ხალხი ავიდა.

რამდენიმე წუთში ბორანი ჩაიძირა. ხალხი კი ჩამოხტა თხელ წყალში და დაბრუნდნენ ნაპირზე, მაგრამ ავტომობილები ბორანზე დარჩა. შეიქმნა რთული სიტუაცია, როგორმე ბორანი უნდა აეწიათ მაღლა, რომ ნავებში ჩასული წყალი(ნავები პირთამდე სავსე იყო წყლით) ამოეტუმბათ. ორგანიზებულად რამდენიმე ათეული მამაკაცი ჩავიდა მდინარეში, ვედროებით ხელში, უფრო მეტი ადამიანი ბორანის მაღლა აწევას ცდილობდა. შეთანხმებული მუშაობით, რამდენიმე საათში მოხერხდა ბორნის იმ დონემდე აწევა, რომ იგივე ნაპირზე მიაცურეს და ავტომობილები გადავიდნენ ნაპირზე. ამის შემდეგ უფრო ადვილად ამოაქციეს ნავებიდან წყალი და ბორნის მუშაობა აღადგინეს.

ეს ამბები ცოტაა იმასთან შედარებით, რაც ცალკეულ პიროვნებებს გადახდენიათ ბორანთან და ნავთან დაკავშირებით.

სხვათა შორის, ხაშურის მუნიციპალიტეტში ბორანი გამართული იყო სოფ. ხცისთანაც.

ძვირფასო ხაშურელებო, მტკვარგაღმა სოფლების მცხოვრებლებო, თუ თქვენც გაკავშირებთ რაიმე საინტერესო მოგონება ბორანთან დაკავშირებით, გთხოვთ, წერილობითი სახით წარმოადგინოთ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რათა კიდევ ერთი საგულისხმო ფურცლით შევავსოთ ჩვენი კუთხის ისტორია.

მზია ლობჟანიძე.
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
ფონდების მთავარი მცველი

ჩატარდა უფასო კვლევები

„დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში, ქალაქ ხაშურში, სს „საქართველოს კლინიკები“ ხაშურის ჰოსპიტალთან (რუსთაველის ქ#40) შპს ნიქოზის სამედიცინო ცენტრმა, კვლევები ჩაატარა:

ძუძუს კიბოს სკრინინგი (40-70 წლის ქალებისთვის)

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი (25-60 წლის ქალებისთვის)

პროსტატის კიბოს მართვა (50-70 წლის კაცებისთვის)

მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი (50-70 წლის კაცებისთვის და ქალებისთვის)

სკრინინგი ონკოლოგიური დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკის საუკეთესო საშუალებაა. ადრეული დიაგნოსტიკა კი, თავისთავად, პოზიტიურად აისახება დაავადების მკურნალობის შედეგებსა და გადარჩენის მაჩვენებელზე. სწორედ ამიტომ, საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მოქმედებს კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამები.

სურამში, აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული მშენებლობა

ამ ეტაპზე ეწყობა აღმაშენებლის მეორე ჩიხი.

„დაბა სურამში, ბოლო წლებში, არაერთი ქუჩის რეაბილიტაცია განვახორციელეთ და ეს ტენდენცია უწყვეტად გაგრძელდება. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს აღმაშენებლის მეორე ჩიხში ტერიტორიის მოსამზადებელი სამუშაოები, რათა მოხდეს ტერიტორიის მოწყობა.“ -აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სურამის საგზაო მშენებლობა, თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 87 528 ლარს შეადგენს.

სასოფლო გზების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

სოფელ ცხრამუხაში, შიდა გზები ეწყობა.

„სოფელ ცხრამუხაში, ტაძრამდე მისასვლელი გზის მშენებლობა ხორციელდება. პარალელურად მიმდინარეობს მეორე, მეთერთმეტე და ხმალაძეების უბნების მშენებლობა. ტენდენცია კვლავაც აქტიურად გაგრძელდება, რაც ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.“ -აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, ცხრამუხის საგზაო მშენებლობა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ღირებულება 669 168 ლარს შეადგენს.

სოფელ გომში, შიდა გზების მონაკვეთების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სრულდება პირველი ფენა ასფალტის დაგება, რის შემდეგაც, დაიგება მეორე ფენა.

გომის საგზაო მშენებლობა, თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 896 297 ლარს შეადგენს.



ხაშურში, ინტელექტუალური თამაშის „ბიგ რაუნდის“ ნახევარფინალისთვის შესარჩევი ტურები მიმდინარეობს

გასულ კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე ესწრებოდნენ.

„ბიგ რაუნდი“ ის თამაშია, რომელიც უკვე წლებია მუნიციპალიტეტში აქტიურად და წარმატებით მიმდინარეობს. ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდული ღონისძიებებისა და აქტივობების ხელშეწყობა და ამისთვის ძალისხმევას არ ვიშურებთ, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში, გვაქვს ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ და მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო. ყოველთვის საჭიროა ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინება და მოსმენა.“-აღნიშნეს ღონისძიებაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა.

წელს,შეჯიბრებაში, მუნიციპალიტეტის 22 სკოლის ინტელექტუალთა გუნდი მონაწილეობდა.

ნახევარფინალში 8 სკოლის გუნდი გააგრძელებს ასპარეზობას.

საფინალო შეხვედრა, ზღვისპირეთში გაიმართება, გამარჯვებული გუნდის წარმომადგენლები დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან.

ინტელექტუალური თამაში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ყოველ წელს ტარდება და მისი მხარდამჭერები არიან: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი და ორგანიზაცია “ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის.” ღონისძიების ორგანიზატორია მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

- ფეხბურთი -

დასაწყისიც ასეთი უნდა - „ივერია“ ლიდერია

ამ წერილის სათაურში გამოტანილი ფაქტი, იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ მეოთხე ლიგის ჩემპიონატის მხოლოდ ერთი ტური შედგა, ოდნავ ირონიულად ჟღერს, მაგრამ მთავარია, რომ ჭეშმარიტებაა და სატურნირო ცხრილში „ივერია“ პირველ ადგილზეა. სეზონი კი ჩვენმა გუნდმა ისეთი რიხით დაიწყო, რომ, ამის შემდეგ, ეჭვი მეპარება, რომელიმე გუნდმა, ხაშურში სტუმრობისას, გარანტირებული სამი ქულა დაგეგმოს. სტუმრად მოპოვებული სამი ქულა და ოთხი უპასუხო გოლი მართლაც ლამაზად ჟღერს და, როგორც იტყვიან დასაწყისიც ასეთი უნდა.

ხელვაჩაურში „ივერია“ თამაშის წინა დღეს გაემგზავრა, ისე, რომ დასვენებაც შეძლო და მსუბუქი ვარჯიშიც ჩაატარა. თამაშს კი ისეთი მობილიზებული შეხვდა, რომ „მაჭახელა“ საერთოდ გააქრო მინდვრიდან. ჩვენს ბიჭებს ყველაფერი გამოსდიოდათ - დრიბლინგი, გააზრებული გადაცემები თუ წინასწარ, მწვრთნელების მიერ ჩაფიქრებული ტაქტიკური ნახაზი. შედეგმაც არ დააყოვნა და პირველ ტაიმში ლუკა ბადრიაშვილის მიერ გატანილ გოლს, მეორე ტაიმში კიდევ სამი უპასუხო გოლი დაუმატეს (ს. ზაზიკაშვილი, ლ. ნოზაძე, ს. ჩხაიძე). „ივერიის“ სრული დომინაცია - ერთი სიტყვით ასე შეიძლება შეფასდეს ეს მატჩი. სხვათაშორის, 3-5-2 ტაქტიკურ სქემას გასულ სეზონში, სტუმრად თამაშისას, „ივერიის“ მწვრთნელებმა ბევრჯერ მიმართეს და წარმატებითაც გამოიყენეს. ამ სქემაში გუნდი ბრწყინვალედაა შეთამაშებული და შესაძლებლობის მაქსიმუმსაც ავლენს. ასე იყო ამჯერადაც.

მოკლედ, „ივერიამ“ რიხით დაიწყო და დიდი იმედებიც ჩაგვისახა გულშემატკივრებს. თუ სათანადო დაფინანსება გამოინახა, სულაც არაა მიუწვდომელი ოცნება, რომ ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწიოს წინ და შარშანდელი ტრიუმფი გაიმეორეს. გუნდის პროგრამა მაქსიმუმიც ესაა და დანარჩენს დრო გვიჩვენებს. „მაჭახელასთან“ კი „ივერიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დერევიაჩენკო, ზუმბაძე, ჭანკოტაძე, კაპანაძე, მახარობლიძე, ტ. ჩადუნელი (ლ. ნოზაძე), ს. ხაჩიძე, ივანაშვილი, ბადრიაშვილი (ო. ხაჩიძე), ზაზიკაშვილი (ჩხაიძე), გ. ნოზაძე (მურჯიკნელი).

ზეგ, 9 აპრილს „ივერია“ უკვე სახლში ხსნის სეზონს. ჩვენი მეტოქე ლანჩხუთის „გურია“ იქნება, რომელიც ამ ლიგის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა. იმედია, როგორც ყოველთვის, გულშემატკივრები სტადიონს მთლიანად გაავსებენ და მათი მხურვალე მხარდაჭერით, არსებულ სამ ქულას კიდევ ამდენივე მიემატება.

გოგი გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, საბიბლიოთეკო სივრცე გაიხსნა

საზეიმო ღონისძიებას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„მედიათეკის გახსნამდე, სწორედ ამ სივრცეში იქნება მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებული. გადმოვიდა წიგნადი ფონდი, მკითხველისთვის შესაძლებელი იქნება, ისარგებლოს როგორც წიგნადი ფონდით და ბეჭდური მედიით, ასევე ინტერნეტით. იმედი გვაქვს, ეს სივრცე ყველა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანის ინტერესებს დააკმაყოფილებს.“- აღნიშნეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა.

ღონისძიების საპატიო სტუმარი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას, ეროვნული ბიბლიოთეკის სახელით, საჩუქრები გადასცა.

ხაშურის ბიბლიოთეკის ღონისძიებაში, სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფები და სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

პატარა მოჭადრაკეებმა საქართველოს პირველობის ლიცენზიები მოიპოვეს

გასულ კვირას, გორში, სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა შორის, საქართველოს პირველობის შესარჩევი რეგიონული ტურნირი გაიმართა. ალექსანდრე ჭადაშვილის მიერ დამოძღვრილმა ჩვენმა პატარა მოჭადრაკეებმა მართლაც ტრიუმფით ჩაატარეს მთელი ტურნირი და მედლებით დახუნძლულები დაბრუნდნენ. ჩემპიონები გახდნენ: ალექსანდრე აკოფაშვილი (12 წლამდე), კესო კილაძე (12 წლამდე), ლაზარე ლიჩელი (10 წლამდე). ვერცხლის მედალოსანი გახდა ანდრია კახიშვილი (12 წლამდე). გაბრიელ ბლუაშვილმა კი (8 წლამდე) ბრინჯაოს მედალი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მოჭადრაკეებმა საქართველოს პირველობის ლიცენზიები მიიღეს. ეს ტურნირი 5-15 მაისს გაიმართება თბილისში. აღსანიშნავია, რომ აქ პირველ-მეორე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები უკვე ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე მიიღებენ მონაწილეობას. როცა ჩვენი სპორტსმენების ბოლოდროინდელ საოცარ პროგრესს ვადევნებთ თვალს, სრულებითაც არ გვაქვს ფუჭი იმედი, რომ ხაშურის სახელი ამ ტურნირებზეც გაიჟღერებს. მათი მწვრთნელი ალექსანდრე ჭადაშვილი მართლაც თანაა გადაყოლილი ამ ბავშვებზე და ეჭვიც არ გვეპარება, რომ ყოველდღიური ვარჯიშები და დაუღალავი შრომა შედეგს აუცილებლად მოიტანს.

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე აღინიშნა

ხაშურის მუნიციპალიტეტი შეუერთდა კამპანიას და მუსიკალური სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბავშვთა და მოზარდთა განვითარების, რეაბილიტაცია/აბილიტაციის ცენტრის პატარებისთვის სხვადასხვა აქტივობები გამართა.

ღონისძიებებს ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლები, მათი განმარტებით, აუტიზმის მსოფლიო დღის აღნიშვნის მიზანია, გაზარდოს საზოგადოების ცნობიერების დონე აუტიზმთან დაკავშირებით. ასევე, ხელი შეუწყოს აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დაცვასა და რეალიზაციას.

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობების ორგანიზატორები იყვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური, ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანება, ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი-„საზოგადოება ბილიკი.“

აღსანიშნავია, რომ 2 აპრილი, აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ, 2007 წლის 18 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა.



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.